



დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება



განკარგულება:გ-109. 109231093

თარიღი:19/04/2023

დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის დ.ე) ქვეპუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 12 აპრილის №108-1082310251 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის მცხოვრების, მოიჯარე ჯუმბერ ბერუაშვილის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხელოს 520 (ხუთასოცი) ლარის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

